

სტილის რეპროდუქცია თარგმანში
(სადეყ ჰედაიათის რომანის *ბრმა ბუს* ქართული, ინგლისური და
რუსული თარგმანების მიხედვით)

მარია ბახტაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შედარებითი
ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: უცხო ენათა ფილოლოგია და
შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა (შედარებითი
ლიტერატურათმცოდნეობა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფირცხალავა, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიკა ბახტაძე

26.06.2019

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ცდას, იკვლიოს ნაწარმოების მხატვრული სტილის რეპროდუქციის პრობლემა თარგმანში, კონკრეტული მაგალითის მიხედვით. საკვლევ ობიექტებად შერჩეულია სადევ ჰედაიათის რომანის *ბრმა ბუს* ორი ქართული თარგმანი: კემელავასეული და ბურჯანაძისეული; ბერტელსისა და როზენფელდისეული რუსული და ორი ინგლისურენოვანი თარგმანი კოსტელოსა და ბაშირის ავტორობით.

კვლევაში გათვალისწინებულია თარგმანის ძირითადი თეორიები; ნაშრომის მიზანია დაადგინოს, რამდენად ადეკვატურად გადმოდის დედნის ავთენტური მხატვრული სტილი თარგმანში და ამ თვალსაზრისით, შერჩეული საკვლევი ობიექტებიდან, რომელი უფრო ახლოსაა ორიგინალურ სპარსულ დედანთან; ნაშრომი წარმოადგენს ცდას, დაადგინოს რა ძირითადი მსგავსებები და განსხვავებებია საკვლევ ობიექტებს შორის; ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ქართულ თარგმანებზე.

საკვლევი ობიექტების შედარებისას დედანთან იკვეთება შემდეგი: ბურჯანაძის თარგმანში მაქსიმალური სიზუსტითაა დაცული რომანის ავთენტური სტილი; კემელავასეულ თარგმანში ვერ ხერხდება სტილის რეპროდუქცია და მისი შეპირისპირებით რუსულ თარგმანთან, იკვეთება გარკვეული სიახლოვე მათ შორის; რუსული თარგმანი, ნაწილობრივ ინარჩუნებს ორიგინალურ სტილს. ინგლისური თარგმანები მეტ-ნაკლებად შეესაბამებიან დედნის სტილს, მაგრამ მათი მთარგმნელობითი პრინციპები განსხვავებულია.

საკვანძო სიტყვები: *თარგმანი, ჰედაიათის ბრმა ბუ, სტილის რეპროდუქცია, მხატვრული სტილი.*

Abstract

The present work is an attempt to study the problem of reproduction of the fiction style reproduction, basis on a specific example in the translation. The main object of the study is to compare the various translations of Sedaq Hadeyat's novel "The Blind Owl": Translation in Georgian – edited by Keshelava and Burjanadze; Russian Translation by Bertelles and Rosenfeld, and English Translations by Costello and Bashiri.

The study contains the main theories of translation. The main purpose of the work is to determine how adequate is an original authentic fiction style transposed into the translations; which of the selected research objects coincidences the original Persian version; Also the work is an attempt to determine primary similarities and differences between the research objects. The main emphasis are done on Georgian translations.

During the comparison of research objects to the original version, we get important results: In the translation of Burjanadze, the authentic style of the novel is preserved with maximum accuracy. In the version of Keshelava, the style reproduction is impossible, and by comparing this translation with the Russian one, some similarities get noticed. The Russian translation partly preserves the original style. The English translations more or less are relevant to the original one, but they both use different translation principles.

Key words: *Translation, Hedayat's Blind Owl, Reproduction of style, Artistic style.*